



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

23 იანვარი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №14

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფირმა ჭალა-საყდარი“-სთვის
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით პირდაპირი
განკარგვის წესით გადაცემის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ და „პ.გ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19⁵ (პრიმა) მუხლის და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს მე-5 თავის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფირმა ჭალა-საყდარი“-ს სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, 20 წლის ვადით, გადაეცეს ავტოპარკირებისათვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთის ერისთავის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 128კვ.მ. მიწის ნაკვეთი, (სარეგისტრაციო ზონა 26, სექტორი 26, კვარტალი 47, ნაკვეთი №055, განცხადების რეგისტრაცია №882013005069, 09/01/2013წ, მომზადების თარიღი 14/01/2013წ.)

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი